პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი № 195 (10892) | კვირა, 18 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## სსრ კავშირში გელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის ყოფნის შესახებ

16 ივლისიდან 16 აგვისტომდე საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჟ. ვან მურკერკეს მეთაურობით.

თავისი ყოფნის დროს დელეგაცია გაეცნო საბჭოთა ხალხის ცხოვრებას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების საქმიანობას, დაათვალიერა სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ყოველმხრივი საუბრები ჰქონდა მისთვის საინტერესო საკითხებზე პარტიულ, პროფკავშირულ და საბჭოთა ორგანიზაციებში, შეხვდა მუშებსა და მოსამსახურეებს, ახალგაზრდობას, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს. დელეგაციამ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, ეწვია ლენინგრადს, მაგნიტოგორსკს, კუსტანაის ოლქსა და ქალაქ სოჭს.

სსრ კავშირში ყოფნის დროს ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას შეხვედრები და საუბრები ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. საუბრებსა და შეხვედრებში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და მდივანი ამხ. ო. ვ. კუსინენი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი და მდივანი ამხ. პ. ნ. პოსპელოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი, ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის წევრები, ამერეთვე ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. ბეელენი. საუბრებისა და ურთიერთ ინფორმაციის მსვლელობაში, რაც გულახდილ, მეგობრულ და გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილულ იქნა ორივე პარტიის საქმიანობის ზოგიერთი საკითხი, ამერეთვე საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის მათთვის საინტერესო საკითხები.

ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ აღნიშნა საბჭოთა კავშირის უდიდესი პროგრესი, მთლიანად და მთელი სულითა და გულით მოიწონა ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია მის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ კიდევ უფრო მეტი განვითარებისათვის.

სსრ კავშირსა და ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტებს დელეგაციის ყოფნა და მისი უფრო ახლო გაცნობა საბჭოთა სინამდვილესთან ხელს შეუწყობს საბჭოთა და ბელგიელი ხალხების მეგობრობის საქმეს, ძმური სოლიდარობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების კიდევ უფრო მეტ განმტკიცებას. (საკდესი).

# საბჭოთა პრესის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა

მეორე თვეა მუშაობენ ჩვენი ქვეყნის ახ ხუთი ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოები. დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ უკვე ახლა სავსებით ცხადია მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ამ ახალი ფორმის უპირატესობანი. სახალხო მეურნეობის საბჭოები დღითიდღე წყვეტენ საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობის გადაუდებელ ორგანიზაციულ-სამეურნეო საკითხებს მშრომელთა უაღრესად ფართო მონაწილეობით, ავლინებენ და იყენებენ წარმოების ახალ და ახალ რეზერვებს. თვითონ ცხოვრება აბათილებს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ჯგუფის ანტიპარტიულ ცილისმწამებლურ მონაჭორს, რომელნიც გამოდიოდნენ სახალხო მეურნეობის მართვის რეორგანიზაციის წინააღმდეგ.

სახალხო მეურნეობის საბჭოების წინაშე მათი საქმიანობის პირველ ხანებში დიდი და რთული ამოცანები დაისახა ჩვენი მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის, სამრეწველო და საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

სერიოზული დახმარება შეუძლია გაუწიოს და კიდევაც უნდა გაუწიოს სახალხო მეურნეობის საბჭოებს ჩვენმა პრესამ. სან ცოტა მუშაობა როდი გასწია, რათა გაეცნო მშრომელთათვის მრეწველობისა და მშენებლობის ახალი სტრუქტურა, ეკონომიური რაიონები, სახალხო მეურნეობის საბჭოების საქმიანობის პირველი ნაბიჯები. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. პრესის საბრძოლო ამოცანაა ყოველდღიურად აშუქებდეს სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობას, მხარს უჭერდეს და ავრცელებდეს ახლებურად ხელმძღვანელობის გამოცდილებას, თავის დროზე იძლეოდეს სიგნალებს ნაკლოვანებათა შესახებ, გაბედულად აკრიტიკებდეს მათ.

ხარკოვის საოლქო გაზეთი „კრასნოე ზნამია“ ეკონომიური რაიონის შექმნის პირველი დღეებიდანვე სერიოზულ ყურადღებას უთმობს მას. მის ფურცლებზე ყოველთვის არის ახალი რუბრიკა „ხარკოვის ეკონომიურ რაიონში“. თვითეულ ნომერში ქვეყნდება შინაარსიანი სტატიები, წერილები, ინფორმაციები სახალხო მეურნეობის საბჭოს, მისი სამმართველოების, სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობის შესახებ.

ფართოდ აშუქებენ სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკისა და სტალინოს ეკონომიური რაიონების შეჯიბრებას გაზეთები „ურალსკი რაბოჩი“, „ჩელიაბინსკი რაბოჩი“ და „სოციალისტიჩესკი დონბასი“.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხები ყოველმხრივ განიხილა საბჭოთა ხალხმა. 2 მილიონ 300 ათასზე მეტი კაცი გამოვიდა კრებებზე და შეიტანა თავისი შენიშვნები და წინადადებები. 68 ათასზე მეტმა კაცმა გამოთქვა აზრი ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე. ჩვენი პრესა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ამ. ნ. ხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის დღეებში, ახლა უფრო ფართოდ უნდა იზიდავდეს მშრომელებს სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების დაყენების საქმეში.

სახალხო მეურნეობის საბჭოები თავიანთ საქმიანობაში ეშყარებიან მშრომელთა ფართო მასების ცხოვრების გამოცდილებასა და შემოქმედებთს ინიციატივას, მოწინავე საბჭოთა ტექნიკოსა და მეცნიერების მიღწევებს. სახალხო მეურნეობის საბჭოებში მუშაობენ სპეციალისტთა, თავიანთ საქმის ზედმიწევნით მცოდნეთა კვალიფიციური კადრები. განა ცხადი არ არის, რომ ჩვენი გაზეთების რედაქციები ახლა წარმატებით ვერ იმუშავებენ, თუ უაღრესად მჭიდრო საქმიანი კავშირი არ დაამყარეს სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაკებთან, არ ჩაებეს ისინი პრესაში თანამშრომლობის საქმეში.

ამას ჯერ კიდევ ყველა გაზეთი როდი შვრება. მაგალითად, ვოლოგდის საოლქო გაზეთ „კრასნი სევერში“ თითქმის არ იბეჭდება სტატიები და კორესპონდენციები მეტალურგიული და სატყეო მრეწველობის მუშაობის შესახებ. ამავე დროს 200 საწარმოს შორის, რომლებსაც ვოლოგდის სახალხო მეურნეობის საბჭო აერთიანებს, არის ისეთი დიდი ქარხნები, როგორიც ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხანა. სამახალე მერქნის დამზადებასა და მიწოდებაში ოლქს მესამე ადგილი უჭირავს რუსეთის სფს რესპუბლიკაში. მაგრამ რედაქცია მეტალურგებსა და სატყეო მრეწველობის მუშაკებს არ იზიდავს, რათა მათ დააყენონ პრესაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის ძირეული ტექნიკურ-ეკონომიური საკითხები. ასეთივე სამდურავი შეიძლება ვუთხრათ კემეროვოს საოლქო გაზეთის „კუზბასის“ რედაქციას. მას დღემდე არ დაუმყარებია საქმიანი ურთიერთობა სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სუსტად აშუქებს უდიდესი ეკონომიური რაიონის საწარმოთა და მშენებლობათა ცხოვრებას.

მრეწველობის მართვის ახალი ფორმები ყველა პირობას ქმნიან ადგილობრივი ინიციატივის კიდევ უფრო ფართოდ განვითარებისათვის. რა ფართო სამოღვაწეო ასპარეზი გადაეშალა ჩვენს პრესას, რომელიც მოწოდებულია ყველა საშუალებით იბრძოდეს სახალხო მეურნეობის ახალი წარმატებებისათვის, ეხმარებოდეს სახალხო მეურნეობის საბჭოებს ხელმძღვანელობის სტილის სრულყოფაში, მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის საუკეთესო გამოცდილების ძიებაში, განზოგადებასა და გავრცელებაში! გაზეთებმა დაუცხრომელი ბრძოლა უნდა აწარმოონ იმისათვის, რომ თვითეული საწარმო, თვითეული მშენებლობა ასრულებდეს სახელმწიფო გეგმებს!

პრესის ამოცანაა ყოველი ღონისძიებით უჭერდეს მხარს მასების ინიციატივას, ნოვატორთა გამოცდილებას, ფართოდ აშუქებდეს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, იბრძოდეს მრეწველობისა და მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის. ამავე დროს საჭიროა აკრიტიკებდეს ბიუროკრატიზმის, კუთხურობის გამოვლინებებს, ააშკარავებდეს კონკრეტულ ბოროტმოქმედთ, კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდების მოტრფიალეთ.

საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ პრესის მუშაობის ისეთი მასობრივი ფორმები, როგორიც არის მუშკორთა რეიდები, მუშკორთა საგუშაგოების შექმნა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. ამ მხრივ საგულისხმოა გაზეთ „სოვეტსკაია ტატარიას“ გამოცდილება. მან მოაწყო მასობრივი რეიდი იმის შესამოწმებლად, თუ როგორ ასრულებენ თათრეთის ასსრ ქარხნები და ფაბრიკები სხვა ეკონომიური რაიონების საწარმოთა დაკვეთებს. რესპუბლიკური გაზეთის მწვავე კრიტიკული გამოსვლები უეჭველად დეხმარება თათრეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს სათანადო წესრიგი დაამყაროს იმ საწარმოებში, რომლებიც ფუშავენ ნედლეულის, მასალებისა და ნაწარმის მიწოდებას.

გაზეთები მოწოდებული არიან ყოველ ნომერში აყენებდნენ ტექნიკური პროგრესის საკითხებს, მოწინავე ტექნიკის დანერგვის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების, შრომისა და წარმოების სწორი ორგანიზაციის საკითხებს, ყოველი ღონისძიებით უჭერდნენ მხარს მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელების შემოქმედებითს ინიციატივას, რომელიც მიმართულია სოციალისტური წარმოების შემდგომი განუხრელი აღმავლობისაკენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისაკენ.

„პრავდის“ 17-VIII მოწინავე.

## ДЕПЕШЕБИС გაცვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვსა და ბოლივიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ერნან სილეს სუასოს შორის

ბოლივიის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ამა წლის 4 აგვისტოს ბოლივიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ერნან სილეს სუასოს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა:

**მის აღმატებულებას**
**ბატონ ერნან სილეს სუასოს,**
**ბოლივიის რესპუბლიკის პრეზიდენტს**
ქალაქი ლა პასი

ბოლივიის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის დღეს — დამოუკიდებლობის დღეს მიიღეთ, ბატონო პრეზიდენტო, ჩემი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები ბოლივიელი ხალხისა და პირადად თქვენდამი.

**კ. ვოროშილოვი,**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.**

ბოლივიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ერნან სილეს სუასომ ამა წლის 16 აგვისტოს კ. ე. ვოროშილოვის სახელზე გამოგზავნა საპასუხო დეპეშა:

**მის აღმატებულებას**
**ბატონ კლიმენტ ვოროშილოვს,**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს**
ქ. მოსკოვი

ბოლივიის ხალხის, მთავრობის და პირადად ჩემი სახელით მადლობას მოგახსენებთ თქვენო აღმატებულებავ თავაზიანი მოლოცვისათვის ეროვნული დღესასწაულის გამო.

**ერნან სილეს სუასო,**
**ბოლივიის პრეზიდენტი.**

## ინდონეზიის რესპუბლიკის მეთორმეტე წლისთავი
### ინდონეზიის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

16 აგვისტოს საღამოს მოსკოვში პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საბჭოთა დედაქალაქის საზოგადოებრიობი ორგანიზაციების საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ინდონეზიის დამოუკიდებლობის დღეს.

დამსწრეთა შორის იყვნენ ინდონეზიის რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები და სხვა ინდონეზიელი სტუმრები.

სხდომა გახსნა უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ა. ეუკოვმა. მან მიულოცა ინდონეზიის წარმომადგენლებს, რომლებიც საზეიმო სხდომაზე ჩამოვიდნენ, და მათი სახით მამაც და თავისუფლებისმოყვარე ინდონეზიელ ხალხს დიდი ეროვნული დღესასწაული.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა აზიის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა მწერალმა ა. ვ. სოფრონოვმა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მოსკოვში ინდონეზიის საელჩოს მრჩეველს ი. მაჰდის, რომელმაც გამოაქვეყნა ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩის ალექსანდერ ა. მარამისის სიტყვა, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო სხდომას.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა და ინდონეზიელმა მსახიობებმა. (საკდესი).

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

## კარგი მუშაოგისათვის

თბილისის კოტონ-წინდების ფაბრიკის კოლექტივი საუკეთესო წარმატებებს აღწევს დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ფაბრიკის კოლექტივმა ამ ერთი თვის განმავლობაში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა 107 ათასი წყვილი პირველხარისხოვანი წინდა და 3 მილიონ მანეთზე მეტი მოგება. ფაბრიკაში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით. საუკეთესო ქვეოსტატისათვის დაწესებულია გარდამავალი დროშები.

საუკეთესო ქვეოსტატის წოდება და წითელი დროშა მეორე კვარტალში დაიმსახურა მოწინავე ქვეოსტატმა ტ. გოგინაშვილმა, რომელმაც პროდუქციის გამოშვების გეგმა 149 პროცენტით შეასრულა. ეს წოდება მიენიჭა აგრეთვე ვ. დეკანოსიძეს. ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ ქვეოსტატებს ვ. ბახტაძეს, მ. მორჩილაძეს, ვ. ცხვედაძეს და სხვ. მქსოველებს შორის მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს მოწინავე მქსოველებმა კ. პლეტნიოვამ და ე. დიდებაშვილმა.

• • •

სურათზე: ქვეოსტატი ვ. ცხვედაძე (მარჯვნივ) მუშაობს მოწინავე მეთოდებს აცნობს მქსოველ ე. დიდებაშვილს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

## ჭიათურაში ბინათმშენებლობის დასაჩქარებლად

ორიოდე წლის წინათ მშენებლებმა მდინარე ყვირილას კალაპოტი შეუცვალეს და მის მარცხენა მხარეზე, სადაც წინათ არაფერი არ იყო, გააშენეს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ჭიათურის სამშენებლო კომბინატი.

კომბინატის ტერიტორიაზე გაშენებულია ბეტონის დამამზადებელი, საარმატურო, რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და ხის დასამუშავებელი საამქროები. რკინაბეტონის საამქრო (უფროსი ოსტატი ი. სოფრომაძე) ქალაქის სამშენებლო სამმართველოებს აწვდის სხვადასხვა ზომის ფილებს, ანტისეისმურ სარტყლებს, პიწისქვეშა კომუნიკაციების დეტალებს, მცირე ზომის მილებს. წინათ ეს პროდუქცია რუსთავიდან მოჰქონდათ.

სამშენებლო კომბინატის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა შვიდი თვის დავალება, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა თვითღირებულება და საწარმოო გამარჯვებით ხვდება დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავს. წარმატებით მუშაობენ მებეტონე ქალები მ. ლუნგუ, ლ. სხირტლაძე.

კომბინატის კოლექტივი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ და ახალი ვალდებულებანი იკისრა. მან გადაწყვიტა ყოველნაირად დეხმაროს ბინათმშენებლებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პირნათლად შესრულებაში, ასაწყობი კონსტრუქციებისა და მზა სამშენებლო დეტალების შეუფერხებელი მიწოდებით ჭიათურაში ბინათმშენებლობის დაჩქარებაში.

**ირ. ანდრაიაძე,**
**ჭიათურის სამშენებლო კომბინატის მთავარი ინჟინერი.**

## ამგვები საწარმოებიდან
### („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტებისაგან)

★ **ზესტაფონ-ჭიათურის რკინიგზის** ხაზის ექსპლოატაციის პირველი თვის განმავლობაში მძიმეწონასანმა მემანქანეებმა გაატარეს 80 მძიმე წონის მატარებელი. რეკორდი დაამყარა მემანქანე დ. გავაშელაშვილმა, რომელმაც ერთ რეისზე 4.160 ტონა მადანი წაიღო და მატარებელი შეუფერხებლად მიიყვანა დანიშნულების სადგურზე.

★ **ქუთაისის აბრეშუმკომბინატის** კოლექტივმა საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულებები სამი თვით ადრე შეასრულა და გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 84.700 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

★ **ბათუმის ტყავის ქარხნისა და აჭარის „ავტოსატრანსპორტო კანტორის** კოლექტივებმა გაიმარჯვეს ბათუმის საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრებაში და მოიპოვეს პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშები.

★ **ფოთის წისქვილ-კომბინატის** კოლექტივმა წელს 7 თვეში გეგმის გადამეტებით 2.500 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა და პირველი ხარისხის პროდუქციის რაოდენობა 2 პროცენტით აამაღლა.

★ **ჩოხატაურის ჩაის მეორე** ფაბრიკის კოლექტივი დიდი წარმატებით ანაღდებს საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებებს. მარტო მეორე კვარტალში ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით 7.785 კილოგრამი მაღალი ხარისხის ჩაი გამოუშვა.

## უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ

## გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის ვალდებულებანი

გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის ხორცის, რძის, კარაქის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის, უფრო ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, რათა ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

მეურნეობის მუშაკების საერთო კრებამ ამ დღეებში გულდასმით განიხილა მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მიმართვა, მხურვალედ დაუჭირა მხარი მის ინიციატივას — გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება რაც შეიძლება მეტი ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოებისათვის.

ჩვენმა მეურნეობამ მიმდინარე წლის გასულ 7 თვეში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. წლიური გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფოსათვის 125 ცენტნერი ხორცის, მათ შორის 60 ცენტნერი ღორის ხორცის ჩაბარებას. უკვე ჩაბარებულია 122 ცენტნერი ხორცი, აქედან 63 ცენტნერი ღორის ხორცი. ამრიგად, 7 თვეში ხორცის ჩაბარების ვალდებულება განაღდებულია 153,6 პროცენტით. მიმდინარე წელს უნდა ჩავაბაროთ 3.500 ცენტნერი რძე, უკვე ჩაბარებულია 2.852 ცენტნერი, წლის ბოლომდე თვითეულ საფურაქე ძროხაზე უნდა მივიღოთ 2.600 კილოგრამი რძე, უკვე მიღებულია 1.726 კილოგრამი.

მეურნეობის კოლექტივმა კვლავ გადახედა თავის შესაძლებლობას, რეზერვებს და მტკიცედ გადაწყვიტა 1960 წლისათვის გათვალისწინებული გეგმა — თვითეულ საფურაქე ძროხაზე 3.160 კილოგრამი რძის მიღება — შესასრულოს 1958 წელს, ხოლო 1960 წელს ეს მაჩვენებელი გაადიდოს 4.000 კილოგრამამდე, მიაღწიოს რძის საშუალო ცხიმიანობას 3,8-4 პროცენტს, პირუტყვის სულადობა აიყვანოს 500 სულამდე, მათ შორის ძროხისა — 250-მდე და თვითეულ ძროხაზე დაამზადოს 10 ტონა სილოსი.

პირობას ვდებთ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩავაბაროთ 500 ცენტნერი რძე და 100 ცენტნერზე მეტი ხორცი. შემდგომ წლებში სამშობლოს მივცემთ მეცხოველეობის ერთიორად მეტ პროდუქტებს.

**ვ. ძნელაძე** — გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; **ს. მაისურაძე** — პარტორგანიზაციის მდივანი; **პ. გოლოსოვი** — მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე; **ა. კულიკოვი** — მთავარი ზოოტექნიკოსი; **მ. ხულაძე** — მთავარი აგრონომი; **გ. ტიტორენკო, ვ. ბორისოვა** — მწველავები.

## 157 ზეგეგმითი გაჯანსაღებული ავტომანქანა

თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა განვლილი შვიდი თვე მძლავრი საწარმოო აღმავლობით აღნიშნა, გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალებები და 1 აგვისტოსათვის 1.422.000 მანეთის ზეგეგმითი საერთო პროდუქცია მოგვცა. კაპიტალურად შეკეთებულია და გამოშვებულია გეგმის გადამეტებით 157 სატვირთო ავტომანქანა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად დაზოგილია 94.000 მანეთი.

საყურადღებოა, რომ ამასთან საგრძნობლად ამაღლდა თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება. განვლილ 7 თვეში მუშათა საშუალო გამომუშავებამ 137 მანეთით გადააჭარბა გეგმით დაწესებულ დონეს.

აგვისტოში თბილისელი ავტომობილშემკეთებლები კიდევ უფრო წარმატებით მუშაობენ ვიდრე ივლისში, ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს თანდათან მზარდი მაჩვენებლებით ასრულებენ.

## საკიდი კონვეიერები გეგმის გადამეტებით

თბილისის მექანიკური ქარხანა რესპუბლიკაში ერთადერთი საწარმოა, სადაც სხვა სახელწოდების პროდუქციასთან ერთად ე. წ. საკიდ კონვეიერებს ამზადებენ.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ქარხნის კოლექტივმა იკისრა კონვეიერების გამოშვების გადიდება, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის ამ მოწყობილობის მზარდი რაოდენობით მიწოდება. ნაკისრ ვალდებულებას ქარხანაში დიდი წარმატებით ასრულებენ. წელს 1 აგვისტოსათვის გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია საკიდი კონვეიერების 29 კომპლექტი, შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 21,8 პროცენტის გადაჭარბებით და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია 396.000 მანეთი ეკონომია.

აგვისტოს პირველ ნახევარში ამ ქარხნის კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი. განსაკუთრებით კარგად მუშაობს მექანიკური და ამწყობი სამამქროების კოლექტივები, რომლებსაც ამხ. ნ. ბახტაძე და მ. ვაჭარიანი ხელმძღვანელობენ.

გუშინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე. სურათზე: დელეგაციასთან შეხვედრა თბილისის ვაგზალზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## რევოლუციის დიდი ძალა

აუტანელი იყო მშრომელ ქალთა მდგომარეობა მეფის რუსეთში. ისინი მოკლებული იყვნენ ელემენტარულ პოლიტიკურ უფლებებს, განიცდიდნენ დევნას, ჩაგვრასა და შევიწროებას. საწარმოებში ქალებს უხდებოდათ 13-14 საათი მუშაობა და ამისათვის მხოლოდ კაპიკებს იღებდნენ, ავადმყოფობისა და შობიარობის დროს არავითარი დახმარება არ ეძლეოდათ. მშობიარობას მეორე დღესვე ისინი სამუშაოზე უნდა გამოცხადებულიყვნენ. კაპიტალისტები პირველ რიგში მათ ითხოვდნენ სამუშაოდან. კიდევ უფრო მძიმე იყო გლეხ ქალთა მდგომარეობა.

ეს ზრდიდა ქალთა შორის პოლიტიკურ თვითშეგნებას. ისინი გაბედულად ებმებოდნენ რევოლუციურ მუშაობაში და გმირულად იბრძოდნენ მეფის, მემამულეების, კაპიტალისტების წინააღმდეგ. მათს გამოღვიძებაში დიდ როლს ასრულებდა ბოლშევიკური პარტიის მიერ გაჩაღებული აგიტაცია და პროპაგანდა. პარტია თავიდანვე გმირულად იბრძოდა ქალთა განთავისუფლებისათვის. რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციაში ქალებმა მეტად მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და გმირობისა და მამაცობის არნახული მაგალითები გვიჩვენეს.

აი დაიწყო 1914 წლის იმპერიალისტური ომი. ფრონტზე წასული მამაკაცები ქალებმა და მოზარდებმა შეცვალეს ფაბრიკა-ქარხნებში. წარმოებაში მომუშავე ქალთა პოლიტიკური აგიტაციამ დღითიდღე იზრდებოდა. ისინი გაბედულად გამოდიოდნენ ომის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ ელემენტარულ უფლებებს. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია ქალთა გამოსვლებით დაიწყო. 8 მარტს (23 თებერვალს) ისინი ერთსულოვნად დარაზმულნი გამოვიდნენ ქუჩებში და ასეთი მოთხოვნები წამოაყენეს: „ძირს ომი!“ „მოგვეცით პური!“. მაგრამ თებერვლის რევოლუციამ, რომელმაც დაამხო მეფის ხელისუფლება, ქალებს ვერ მოუტანა თავისუფლება. ისინი ისევ მძიმე პირობებში მუშაობდნენ, კაპიტალისტები მათ ველურ ექსპლოატაციას უშვებდნენ. ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა განაგრძობდა სისხლისმღვრელ ომს, რაც ქალთა მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა.

ბოლშევიკური პარტია თვლიდა რა დიდ ძალად ქალებს, დაუღალავ მუშაობას ეწეოდა მათში, რათა ისინი ჩამოეშორებინა მენშევიკების, ესერების და სხვა მტრული პარტიების გავლენისაგან და დაერაზმა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ამ პერიოდში პარტიის მიერ ქალთა შორის გაშლილ მუშაობას კ. ცეტკინა ასე აგვიწერს:

**„ბოლშევიკები დაუცხრომელი ენერგიით იყენებდნენ თებერვლის ბურჟუაზიულ რევოლუციასა და პროლეტარულ წითელ ოქტომბერს შუა ხანს იმისათვის, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელ ქალთა ფართო მასები ჩამოეშორებინათ ბურჟუაზიისათვის, წმინდა კაპიტალისტური „დემოკრატიისათვის“, აგრეთვე მენშევიკებისა, ესერებისა და „ხალხის სხვადასხვა მეგობრებისათვის“ სხვა ოპორტუნისტული პარტიებიდან და ორგანიზაციებიდან, რომლებიც, ერთგულად იცავდნენ რა თავიანთ არარევოლუციურ და თვით კონტრრევოლუციურ არსს, მჭიდროდ დაუკავშირდნენ ბურჟუაზიულ „დემოკრატიას“... ბოლშევიკებს, რომლებიც ისტორიულად მოწოდებული იყვნენ მოემზადებინათ და დაეჩქარებინათ მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია როგორც გალატკებული და გაწამებული მშრომელი მასების ხელით გასაკეთებელი საქმე, გაორკეცებული და გაათკეცებული ენერგიით უნდა გაეჩაღებინათ თავიანთი საგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა ქალებს შორის“.**

დიდი ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტიის მიერ ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებამ გაზარდა მათი პოლიტიკური აქტივობა. ქალები განსაკუთრებული ენერგიით იბრძოდნენ პეტროგრადში. მუშა ქალები, მუშებისა და ჯარისკაცების ცოლები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ საპირველმაისო, ივნისისა და ივლისის დემონსტრაციებში, გაფიცვებში, ენერგიულად მუშაობდნენ ბოლშევიკურ სამხედრო ორგანიზაციებში. ამ პერიოდის მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის ცნობილია არაერთი სახელოვანი ქალი, რომელმაც თავი გამოიჩინა პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლაში. ქალთა შორის ბოლშევიკების გავლენის ზრდას ნათლად გამოხატავს ნ. კრუპსკაიას შემდეგი სიტყვები:

**„ბოლშევიკების სასარგებლოდ პირველი აგიტატორები აღმოჩნდნენ მზესუმზირას, ბურახის გამყიდველები და ა. შ. მათ შორის ბევრი იყო მუშა ქალი, რომლებსაც მე ვიცნობდი 90-იან წლებში და თვით 1905 წლის რევოლუციის დროსაც. ისინი კარგად იყვნენ ჩაცმულნი, აქტიურად გამოდიოდნენ კრებებზე, პოლიტიკურად შეგნებული იყვნენ. ერთი მუშა ქალი მიამბობს: „ჩემი ქმარი ფრონტზეა. ჩვენ შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით, არ ვიცი, როგორ იქნება ახლა, როცა ფრონტიდან დაბრუნდება. მე ახლა ბოლშევიკებს ვემხრობი, მათ მივყვები და არ ვიცი, როგორ არის იქ ფრონტზე... ნეტავი თუ გაიგო, თუ დაინახა, რომ ბოლშევიკებს უნდა გაჰყვეს. ხშირად ღამღამობით ვფიქრობ: ვაითუ ჯერ კიდევ ვერ გაიგო. მხოლოდ არ ვიცი, მოვესწრებით თუ არა; ვაითუ მოკლან, მეც სისხლს ვახვევინებ, საავადმყოფოში მივდივარ“. კარგად დამამახსოვრდა მე ამ მუშა ქალის გამხდარი სახე, წითელი ლაქები რომ ჰქონდა ლოყებზე, მისი შეშფოთება ამის გამო, რომ უთანხმოება არ მოსვლოდა ქმართან შეხედულებათა განსხვავების გამო“.**

ბოლშევიკური პარტიის მიერ დარაზმული ქალები მამაკაცების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ყველგან, ოქტომბრის ბარიკადებზე და კიდევაც უზრუნველყვეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რითაც დაიწყო ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიაში.

**გორის რაიონში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი მოსავლის ხილის კრეფა. ამჟამად საკონსერვო წარმოებას აბარებენ სხვადასხვა ჯიშის ქლიავსა და საადრეო ატამს. სურათზე: გორის სახელმწიფო სადაურის აგროტექნიკოსი იზოლდა შენგელიაშვილი კრეფს ქლიავს.** ფოტო: შ. კუკულავასი.

★

## გაჩაღდა სიმინდის დასილოსება

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში დიდი შრომითი აღმავლობაა. ისინი ენერგიულად ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის. დაზვინული და ფერმებთან მიტანილია 12.575 ტონა ნამჯა.

ლაგოდეხელები პირუტყვის საკვებად ძირითადად სიმინდის მწვანე მასას და მის სილოსს იყენებენ. ამიტომაც იყო, რომ მოსავლის აღების პირველ დღეებშივე ორგანიზებულად შეუდგნენ სანაწვერალო სიმინდის თესვას. ნაწვერალზე ნათესიდან დიდი მოსავალი მიიღეს.

ამ დღეებში შეუდგნენ სიმინდის დასილოსებას. ვარდისუბნის მტს-ის მექანიზატორებმა წელს 6.164 ტონა სილოსი უნდა დაამზადონ.

სოფელ თამარიანის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის მწვანე მასის აღებაზე მუშაობს ვარდისუბნის მტს-ის კომბაინერი ელგუჯა გელაშვილი და ტრაქტორისტი მ. ცარციძე. ისინი ყოველდღიურად 4 ჰექტარზე იღებენ მოსავალს და ჰექტარზე 250 ცენტნერ სიმინდის მასას ამზადებენ. ამ დღეებში უკვე დაასილოსეს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში შესული 450 ტონა სიმინდი.

## ჰექტარზე 26 ათასი კილოგრამი კარტოფილი

გურჯაანი. (საკ. კორ.). კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა კარტოფილი კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს, მინერალური და ორგანული სასუქები კარტოფილის ფართობებში საჭირო დოზით შეიტანეს, კულტივაცია და თოხნა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს. ამ ღონისძიებებმა კარგი შედეგი გამოიღო — ჰექტარზე 26 ათასი კილოგრამი კარტოფილი მიიღეს.

## ᲓᲐᲛᲐᲖᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

წალენჯიხა. (საკ. კორ.). სოფელი ჯვარი ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი სოფელია წალენჯიხის რაიონში. ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე სოფელში დამთავრდა კლუბის, აფთიაქის, სოფლის მაღაზიის და სხვ. მშენებლობა. ამჟამად ჯვარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა აშენებს ორსართულიან საკოლმეურნეო კანტორას, სადაც მოთავსდება კოლმეურნეობის გამგეობა, იქნება აგრონომების, ზოოტექნიკოსების, კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების სამუშაო ოთახები. პირველ სართულში მოეწყობა კლუბი, რომლის დარბაზი გათვალისწინებულია 400 კაცისათვის. აქვე გაიხსნება ბიბლიოთეკა და სხვა კულტურული დაწესებულებანი.

კანტორის მშენებლობაზე და კეთილმოწყობაზე კოლმეურნეობის გაწეული ფონდიდან დაიხარჯება მილიონ მანეთზე მეტი.

ამავე დროს კოლმეურნეობამ იკისრა ჯვარის საშუალო სკოლის შენობის რეკონსტრუქციისა და დამატებით 8 საკლასო ოთახის დაშენების შეფობა. ეს სამუშაოები დამთავრდება 1 სექტემბრისათვის.

## მკის წინადღეები

**წერილები ყამირიდან**

ყაზახეთის თვალუწვდენი მინდვრები კომბაინების ხაიერიშო გამოჩენას ელიან. ხაითაც გაიხედავ, ყველგან პურის ყანებია. ხვალ-ზეგ ფიცხელი მკა დაიწყება. ველზე გასულან მეყამირეთა დამკვრელი ბრიგადები. გაშლილია კარვები. ფრიალებენ კომკავშირული ალმები...

მკისათვის მზად არიან ქართველი ახალგაზრდებიც. ისინი დანაწილდნენ კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. ეს ოლქი ახალია. მუდმივი მოსახლეობაც იშვიათია. აქ მიწა ნახშირივით შავი და ფხვიერია. რომ იტყვიან, უკუღმა გადაგდებული თესლი წაღმა ამოვაო, სწორედ ამ დალოცვილ მიწაზეა ზედგამოჭრილი.

კუსტანაის ოლქში თვალივით ზის პატარა ქალაქი ჯეტიგარა. იგი რაიონული ცენტრია. ფეხდაფეხ შემოვიარეთ ამ რაიონის მოტოკორსკის, სტალინგრადისა და სტეპნოის პურის საბჭოთა მეურნეობები. სამივე ამ მეურნეობაში ქუთაისიდან და მაიაკოვსკის რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები მოხვდნენ.

პურის უზარმაზარ მოსავლის აღებისათვის ყოველმხრივ მზად არის სტეპნოის საბჭოთა მეურნეობა. კომბაინები წინა ხაზზე დგანან, ავტომანქანები სრულ წესრიგშია. მიდამოს ახმიანებს ტრაქტორების გუგუნი.

აქ, ამ თვალწარმტაც მინდვრებზე, 1955 წლამდე მხოლოდ ეკალ-ბარდები ხარობდა. გაუვალი ჯაგნარით იყო დაფარული ყამირის იდუმალი მყუდროება. ჩამოდგა სიცოცხლის ნამდვილი გაზაფხული, და ცისკენ ბოლქვ-ბოლქვად წავიდა პირველი მოსახლის საკმეურიდან ადენილი კვამლი. ვეება, თეთრი ყაყაჩოებივით დასხდნენ ველზე ვეებერთელა კარვები. ერთ მოსახლეს მეორე ამოუდგა მხარში, ერთ სახლს მეორე მიემატა. საცალფეხო ბილიკი გზამ შეცვალა. წინათ ჯაგნარით დაფარულ მიწაზე ჯეჯილმა ამოხეთქა. მიწის მადლმა და სიმსუყემ წყაროს თვალივით იჩინა თავი.

ახლა სტეპნოის პურის საბჭოთა მეურნეობაში ხუთასამდე კაცი მუშაობს. მისი სახნავ-სათესი მიწები 43 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული. მეურნეობაში გაცხოველებით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. გასულ წელს აიგო თხუთმეტი ახალი საცხოვრებელი ბინა, საადილოს და კლუბის შენობები. მეურნეობას საათავეში უდგას პურის უხვი მოსავლის გამოჩენილი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი სერგი ცერლუკი.

დღეს პურის ყანებით დაფარულ ამ მინდვრებს ქართველი მოხალისენიც ეწვევნენ. სტეპნოის პურის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე ქართველი ახალგაზრდების ხუთი ბრიგადა გავიდა. აქედან ოთხი ბრიგადა ძირითადად ქუთაისელი სტუდენტებით შეიკვნა. მათი საერთო ხელმძღვანელია კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. შარაბიძე. მეხუთე ბრიგადა მთლიანად მაიაკოვსკის რაიონის კომკავშირელებით დაკომპლექტდა. ბრიგადას ხელმძღვანელობს კომკავშირის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი რ. ქარჩხავე.

თვითეული ბრიგადა აღჭურვილია შესანიშნავი ტექნიკით. ყოველი მათგანი უზრუნველყოფილია ოც-ოცი კომბაინით, ამდენივე ტრაქტორით, მრავალი ავტომანქანითა და სხვა დამხმარე ხელსაწყოებით. კომბაინები, ტრაქტორები და ავტომანქანები ჩაიბარეს ქართველმა კომბაინერებმა, ტრაქტორისტებმა და ავტომძღოლებმა.

მკისწინა მოსამზადებელ სამუშაოებში თავი ისახელეს ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ახალგაზრდები, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. ბურჯანაძე და ქუთაისის სამთო ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თ. ჯღარკავა. მათ მხარდამხარ დგანან სტუდენტები ო. კიკვაძე, შ. აბუთიძე, რ. ლილუაშვილი, ზ. ხორგუაშვილი, ი. ქათამაძე, ო. ბაბუნიძე, ბ. ცხადაია, ჯ. თორთლაძე, გ. გრიგორიევი; სამთო ტექნიკუმელები ბ. გურჯიძე, ა. კაკაბაძე, ა. პაცუკი, რ. ქარქაშაძე; მედიცინის მუშაკი ნ. კობზარი.

ენერგიული და მუყაითი შრომით პატივისცემა დაიმსახურეს ტრაქტორისტებმა ა. გაბუნიამ, ზ. გარჩაკუდაშვილმა, ვ. კაკაძემ, რ. ჩუბინიძემ; ავტომძღოლებმა გ. ქომეთიანმა, გ. ახვლედიანმა, ა. ამბროლაძემ, ი. აფულავამ, რ. ნიკოლაძემ.

თავთავი შემოსულია. სიცოცხლე და უჩვეულო ხალისია მინდვრებზე. შემტევი ბრიგადები ველზე არიან და წლევანდელი ბარაქიანი მოსავლის აღებისათვის საიერიშოდ ემზადებიან.

აქ დაინახავ ქერათმიან რუს გოგონას, სახედამწვარ ყაზახსა და ყალმუხს, შავგვრემან ქართველსა და სომეხს. ამ თვალუწვდენ სივრცეებში გრძელდება, მტაცდება და ფრთებს იხსამს ბრძოლითა და შრომით მოპოვებული მეგობრობა.

დღითიდღე ფართოვდება და ერთიანი ფრონტით მიეჭართება ახალი მოსავლის აღებისათვის გაშლილი სამუშაოები. ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს. მექანიზატორები, მუშები, კოლმეურნეები, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდები ემზადებიან კარზე მომდგარი მკის ფიცხელი და პასუხსაგები დღეებისათვის. აქ არის შავი ზღვის მწვანე სანაპიროებიდან, აფხაზეთისა და აჭარის თვალწარმტაცი ბალნარებიდან, სვანეთის ჭაღარა, თოვლიანი მთებიდან, რაჭისა და ლეჩხუმის, იმერეთისა და გურიის ხავერდოვანი მინდვრებიდან თავისი სურვილით წამოსული, პატრიოტული სულისკვეთებით აღფრთოვანებული ქართველი ახალგაზრდობის მრავალათასიანი არმია.

აი თბილისელი სტუდენტი გ. ხორბალაძე, აზრიანი თვალები ნაპერწკლებით რომ ავსებია და ლამაზი სახე ნიადაგ უცინის. მას ხომ აქ წამოსვლისას ერთი სურვილი ასულდგმულებდა, რითმე დახმარებოდა მეყამირეებს, თავისი წვლილი შეეტანა ყამირზე მოყვანილი პურის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში. ან კიდევ ჭიათურელი მაღაროელები თ. გურჯიძე და გ. წერეთელი. ისინი აქ მოვიდნენ, ყამირზე დასახლებულებს მხარში ამოუდგნენ და თან ჭიათურელ მაღაროელთა აღტაცება და სიხარული მოიყოლეს.

თვითეული კომბაინი სრულ წესრიგშია. კომბაინერები ველზე გასვლის მხლოდ ნაცნობ სასიხარულო ნიშანს ელიან. საიერიშო ხაზზეა წყალტუბოელი კომბაინერი ვიქტორ კვერნაძეც. შრომისმოყვარე, მუყაითი და გულისყურიანი ვიქტორი საყვარელ მანქანას არ შორდება, გარშემო უტრიალებს, ამოწმებს. მეურნეობა სადაც იგი მუშაობს, გმირი ქალაქის — სტალინგრადის სახელს ატარებს, შარშან აქ პურის უმაგალითო მოსავალი მიიღეს. ფერდები ამოივსეს ცარიელმა ბეღლებმა! წელსაც ზღვასავით წამოვიდა პურის ყანა. ყამირმა მიწამ მდიდარი გული გადაიხსნა და ოქროს მარცვლით დატვირთა თავთავები.

მთელ მეურნეობაში მოწინავეა მეორე ბრიგადა. ბრიგადას ცხრა ათასი ჰექტარი პურის ყანის მომკა მიეწდო. ამისათვის გადაეცა 26 თვითმავალი კომბაინი, 20 ტრაქტორი, დიდი რაოდენობით ავტომანქანები და შეივსო გამოცდილი კომბაინერებით. შვიდ კომბაინს ქართველი კომკავშირელები მართავენ. სილოსის ჩადების სამუშაოებში შრომის მისაბაძი მაგალითები უჩვენეს საქართველოდან წარგზავნილებმა — ეკვენი გოგუაძემ, ლავრენტი ბახტაძემ, აკაკი მერაბიშვილმა, გივი ბენდელიანმა, იუზა ფერაძემ, გიორგი სამანიშვილმა, ტარიელ ქოიავამ. წინ წავიდა მეშვიდე ბრიგადაც, რომელიც მთლიანად ქუთაისის საავტომობილო ტექნიკუმის სტუდენტებით დაკომპლექტდა. თავდადებით შრომობენ და მკისათვის ემზადებიან ამ ბრიგადის წევრები რობერტ კუპრაშვილი, გიორგი მესხი, ბორის ფოფხაძე, ჯუმბერ თვალოძე, გივი ვერულაშვილი, გივი კეთილაძე, ჯუმბერ ნიკოლეიშვილი, ვლადიმერ ებანოიძე, ნოდარ რობაქიძე.

პურის მასობრივი მკა ყაზახეთის ყამირ მიწებზე რამდენიმე დღეში დაიწყება. საქართველოს მშრომელებს იმედი არ გაუცრუვდებათ მათ მიერ წარგზავნილი ჭაბუკები და ქალიშვილები მოსავლის აღების ამ დიდ, პატრიოტულ საქმეშიც წარმატებით გამოიჩენენ თავს და ახალი შრომითი მიღწევებით ასახელებენ სამშობლოს.

**ვასილ გვეტაძე,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.
კუსტანაის ოლქი, ქ. ჯეტიგარა.

★

**სურათზე:** მახარაძის რაიონის სოფელ ბაღდადის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე მერგოლური ნინო კვაჭანტირაძე და მისი ქალიშვილები მაყვალა, გულიზარ და ნანული, რომლებმაც უკვე შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა და ახლა ჩაის ნედლეულს კრეფენ გეგმის გადამეტებით.

ფოტო ო. ვაჩიბერაძისა.

★

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიისადმი

## ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

### ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲞᲐᲠᲐᲖᲘᲢᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ითვალისწინებს რა მოქალაქეთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალ წინადადებასა და სურვილს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოაქვს პროექტი კანონისა „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

სურვილები და წინადადებანი კანონის პროექტის გამო უნდა გაეგზავნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აგრეთვე რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესას.

ტექსტი — პროექტს საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ იგი მშრომელთა შესწორებებისა და დამატებების გათვალისწინებით შეტანილი იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დასამტკიცებლად.

პროექტი

## ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

### ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲞᲐᲠᲐᲖᲘᲢᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენეს ახალი სოციალისტური საზოგადოება, რომელშიც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ლიკვიდირებულია სოციალური საფუძველი ზოგიერთის პარაზიტული არსებობისათვის სხვების შრომის ხარჯზე. ჩვენს ქვეყანაში არ არის უმუშევრობა, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა უბედურებაა, არ არის სიღატაკე და მიმშილი. სოციალისტური სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი ზრდა უზრუნველყოფს თვითეული მოქალაქისათვის შესაძლებლობას მიიღოს სამუშაო სპეციალობის მიხედვით, შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

სსრ კავშირის თვითეული მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა მიიღოს განათლება და შეიძინოს პროფესია მისი მისწრაფებისა და უნარის შესაბამისად. მილიონობით ჭალიშვილი და ჭაბუკი სწავლობს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სახელოსნო სასწავლებლებში; ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია პოლიტექნიკური სწავლება, იქმნება სკოლა-ინტერნატების ფართო ქსელი.

საბჭოთა სახელმწიფო ყოველდღიურად ზრუნავს მოქალაქეთა შრომის პირობებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სისტემატურად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი, უმჯობესდება შრომისუნარო და მოხუც მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფა.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და ხალხის მასების კეთილდღეობის განუხრელი ზრდის ძირითადი წყაროა შრომა. საბჭოთა კავშირში ყველა მოქალაქისათვის შექმნილია შრომის უფლების განხორციელების რეალური გარანტიები. უზრუნველყოფს რა ამ უფლებას, სსრ კავშირის კონსტიტუცია ამასთან ერთად აცხადებს, რომ შრომა არის თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე პრინციპით: „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“.

საბჭოთა მოქალაქეები, ქალები და მამაკაცები აღფრთოვანებით შრომობენ ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, დაწესებულებებში, ან ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობას ოჯახში. სოციალისტური წყობილების პირობებში გაიზარდნენ ახალი ადამიანები — კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებლები. ეს ჩვენი უდიდესი მონაპოვარია.

მაგრამ შრომისმოყვარე საბჭოთა ოჯახში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. ასეთი ადამიანები ან სხვის დასანახავად ეწყობიან სამუშაოზე, ფაქტიურად კი ცხოვრობენ არაშრომითი შემოსავლით და მდიდრდებიან მშრომელთა ხარჯზე, ან, თუმცა შრომისუნარიანი არიან, მაგრამ არავითარ სასარგებლო მუშაობას არ ასრულებენ არც საზოგადოებაში, არც ოჯახში, ეწევიან მაწანწალობას, მათხოვრობას და ხშირად სჩადიან დანაშაულს.

საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც ლიკვიდირებულია სოციალური საფუძველი პარაზიტული არსებობისათვის, არ უნდა იყვნენ მუქთახორები და უსაქმურები. იმ პირებს, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მთელი საბჭოთა საზოგადოება გმობს; და ასეთი პირების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ზემოქმედების გადამწყვეტი ღონისძიებანი.

საბჭოთა სახელმწიფოს დიდ დამაარსებელს ვ. ი. ლენინს პარაზიტული ელემენტები მიაჩნდა სოციალიზმის სამიშ მტრებად და აღნიშნავდა, რომ ამ ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა მარტო აღზრდისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით, არამედ აგრეთვე სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიებებით.

მიაჩნია რა, რომ პარაზიტული ცხოვრება შეუთავსებელია სოციალიზმის პრინციპებთან და გაითვალისწინა რა მოქალაქეთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრავალი წინადადება და სურვილი, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ როგორც საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით, ისე სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიებებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

**მუხლი 1.** დაწესდეს, რომ სრულწლოვან შრომისუნარიან მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, აგრეთვე ცხოვრობენ არაშრომითი შემოსავლით, შეიძლება გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი გადასახლების სახით საზოგადოებრივი განაჩენით ორიდან ხუთ წლამდე ვადით. ამასთან აუცილებლად ჩაბმული უნდა იქნან შრომითს საქმიანობაში გადასახლების ადგილას.

საზოგადოებრივი განაჩენი გადასახლების შესახებ გამოაქვს მოქალაქეთა საერთო კრებას, რომელსაც ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მოიწვევენ ქუჩის კომიტეტები ან სახლთმმართველთასთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის ხელშემწყობი კომისიები, ხოლო სოფელ ადგილას — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოები.

გადასახლების შესახებ საზოგადოებრივი განაჩენის გამოტანისას საერთო კრებას უნდა ესწრებოდეს: ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში — შესაბამისი სახლთმმართველობის ან ქუჩის კომიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სრულწლოვან მოქალაქეთა უმრავლესობა, ხოლო სოფელ ადგილას — სოფლის სრულწლოვანი მოქალაქეთა უმრავლესობა. საზოგადოებრივ განაჩენს გასახლების შესახებ იღებენ ღია კენჭისყრით, კრების მონაწილეთა უბრალო უმრავლესობით.

დამრღვევის პიროვნების, მისი გულახდილი მონანიებისა და გამოსწორების მტკიცე დაპირების გათვალისწინებით მოქალაქეთა კრებას შეუძლია დასჯერდეს გაფრთხილებას გამოსაცდელი ვადის დადგენით, რომლის განმავლობაში დამრღვევმა უნდა გამოასწოროს თავისი ქცევა.

**მუხლი 2.** მოქალაქეთა საერთო კრების მიერ გამოტანილი საზოგადოებრივი განაჩენი გადასახლების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც შეამოწმებს მის სისწორესა და დასაბუთებას.

საზოგადოებრივი განაჩენი გადასახლების შესახებ ძალაში შედის მისი დამტკიცების მომენტიდან და დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.

გადასახლების ადგილის თვითნებურად დატოვება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 3.** საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის პირველი მუხლით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ქმედობა, რაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით იწვევს უფრო მკაცრ სასჯელს.

იმ მონაცემების არსებობისას, რომლებიც აღნიშნავენ, რომ პირებმა, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებმა უნდა აწარმოონ გულმოდგინე გამოძიება და უზრუნველყონ ყველა დანაშაულის გამოვლინება, რომლებიც პარაზიტული არსებობის წყაროს წარმოადგენენ.

**მუხლი 4.** დაწესდეს, რომ სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომლებიც მაწანწალობას ან მათხოვრობას ეწევიან, სახალხო სასამართლოს განაჩენით გადასახლებულ უნდა იქნენ ორიდან ხუთ წლამდე ვადით და აუცილებლად ჩაბმული იქნან შრომითს საქმიანობაში გადასახლების ადგილას.

**მუხლი 5.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი შრომისუუნარო მოქალაქეთა მაწანწალობისა და მათხოვრობის თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის და ინვალიდთა სახლებში მათი მოთავსებისათვის.

დაწესდეს, რომ შრომისუუნარო ან შეზღუდულუნარიანი პირები, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს ინვალიდთა სახლში მოთავსებას და ეწევიან მათხოვრობას ან მაწანწალობას, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით სავალდებულო წესით უნდა გაიგზავნონ ინვალიდთა სახლებში.

# მათ თავდა ასახელეს მსოფლიოს ახალგაზრდობის დელეგაციის

ისინი, ვინც ოქროს მედლები მოიპოვა

## ნათელი ოპტიმიზმი

რ. ჩხეიძე.

საერთაშორისო კინოფესტივალის საზეიმო დახურვისას, რაც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის პროგრამით მოეწყო, კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ ჩეხოსლოვაკიელმა პროფესორმა ა. მ. ბროუსილმა გააცნო შეკრებილთ 40 ქვეყნის 150-ზე მეტი კინოფილმის გასინჯვის შედეგები.

ოქროს მედლებით დაჯილდოებულ ფილმებს შორის არის ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის რევაზ ჩხეიძის მიერ გადაღებული ფილმი „ჩვენი ეზო“ — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები.

რით მოიპოვა ქართულმა ფილმმა ასეთი დიდი წარმატება — საერთაშორისო ჯილდო — ოქროს მედალი?

სიმართლით, ძალდაუტანებლად მოთხრობილმა ამბავმა უბრალო საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, გრძნობების, ფიქრების, სიხარულისა თუ მწუხარების შესახებ ჭეშმარიტად აღელვა მრავალეროვანი აუდიტორია.

ლირიკულმა უშუალობამ და მიმზიდველმა სისადავემ, რომელიც დამახასიათებელია რ. ჩხეიძის საერთაშორისო ჯილდოთი აღნიშნულ ამ მეორე ფილმისთვისაც (პირველი — „მაგდანას ლურჯა“), გზა იპოვა ყველა ეროვნების ადამიანთა გულისაკენ.

ფილმში არავინ არ სჩადის რაიმე განსაკუთრებულ, გმირულ საქმეებს. მოქმედება თავისთავად უბრალო და პროზაულია, მაგრამ მასში იგრძნობა ახალი ადამიანების, მათი ახალი ყოფის ცხოველმყოფელი სული, ადამიანებისა, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური, ჩვეულებრივი საქმიანობით ჩვენი საზოგადოების ხვალინდელ დღეს ჰედავენ. და ყოველივე ეს ფილმში გადმოცემულია უაღრესად სადად, სიამდვილის შეუღამაზებლად. ამავე დროს ფილმი მდიდარია ფსიქოლოგიური ნიუანსებით, ემოციურად მძაფრი მომენტებით.

რეჟისორის ხელოვნება ფილმში „ჩვენი ეზო“ ღრმად ეროვნულია ფორმის მხრივ, ფილმის ხასიათები და სახეები მეტად კოლორიტული, ამავე დროს ტიპიური არიან და ტიპიურ მდგომარეობაში მოქმედებენ. რომანტიკული ტონი, კომუნისტური საზოგადოების მომავალი აქტიური მშენებლების აღზრდის კეთილშობილური თემა — აი რამ მოუპოვა ფილმ „ჩვენს ეზოს“ უმაღლესი საერთაშორისო ჯილდო.

ფილმის პლენარული გასინჯვის დროს ჟიურის წევრებმა — უხუცესმა იაპონელმა კინორეჟისორმა კეიხიკო უსიხარამ, უნგრელმა კინომსახიობმა ტერეზა ხორვატმა, ინგლისელმა კინორეჟისორმა ტომპსონმა და სხვებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართულ ფილმს. ფრანგი კინომოღვაწე ჟან ვალერი წერილში, რომელიც „სოვეტსკაია კულტურაში“ იყო მოთავსებული, ფილმ „ჩვენი ეზოს“ შესახებ წერდა:

— „კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მეორე საბჭოთა ფილმმა „ჩვენმა ეზომ“, რომელიც დადგმულია ახალგაზრდა რეჟისორის რ. ჩხეიძის მიერ. მასში ნაჩვენებია ერთი ეზოს ცხოვრება, მაგრამ მას დაძაბული ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს. ამ ფილმის ძირითადი ღირსება ნათელი ოპტიმიზმია“.

ე. დავითაშვილი.

## „შვიდკაცა“

ჯ. კახიძე.

მ. შავიშვილი.

წლევანდელი ზაფხული დაუვიწყარია ქართველი ახალგაზრდობის ცხოვრებაში.

მეექვსე მსოფლიო ფესტივალს წინ უსწრებდა მოსკოვში საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის სალაურეატო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ინდივიდუალური შემსრულებლები და მცირე ფორმის ანსამბლები. ამ კონკურსში ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა და ოქროს მედლებით დაჯილდოვა თბილისის სტუდენტთა კლუბთან არსებული მომღერალთა ჯგუფი „შვიდკაცა“.

ამ ჯგუფის შემადგენლობაში არიან — გიორგი გუგუშვილი, ჯონდო მიქელაიშვილი, თენგიზ კორინთელი (საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები), მამია ხატელიშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი), ვანო მაჭავარიანი, თენგიზ კახიძე (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები) და მიხეილ შავიშვილი (მასწავლებელი მახარაძის რაიონიდან). ამ შვიდი ახალგაზრდა მომღერლისაგან შემდგარ ჯგუფს ხელმძღვანელობს თბილისის სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტი ჯანსუღ კახიძე.

მოსკოველ მაყურებელს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს დიდი თეატრის ფილიალში გამართულ სალაურეატო კონკურსში გამარჯვებულთა დასკვნითი კონცერტი და მასში მონაწილე მომღერალთა გუნდი „შვიდკაცა“.

პირველ ტურში „შვიდკაცამ“ შეასრულა „ხასანბეგურა“, „კეისრული“, „კახური მრავალჟამიერი“ და „იმერული სახუმარო“. ეს სიმღერები შესრულებულ იქნა დიდი შთაგონებით, ხმატკბილად. ყოველი სიმღერის შესრულებისას მაყურებელი მთ ოვაციებს უმართავდა. ეს იყო საფესტივალო ტრადიციის დარღვევა, მაგრამ რა გაეწყობოდა...

„შვიდკაცამ“ შემდეგ ტურებშიც გაიმარჯვა. მისმა წევრებმა და ხელმძღვანელმა ოქროს მედლები და ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატობა მოიპოვეს.

**ი. ტულუში,**

**საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი.**

გ. გუგუშვილი. თ. კახიძე. თ. კორინთელი.

ვ. მაჭავარიანი. ჯ. მიქელაიშვილი. მ. ხატელიშვილი.

## ორი ნიჭიერი კოლექტივი

ქართველი ახალგაზრდობის წარგზავნილთა შორის იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს ცენტრალური სახლის ლენინური კომკავშირის სახელობის ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლი გ. დარახველიძის მხატვრული ხელმძღვანელობით. ქართველმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ფესტივალის ჟიურისა და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს უჩვენეს ქართული ტემპერამენტიანი, ნარნარი, გასაოცარი პლასტიკურობის ცეკვები. მათ შეასრულეს ჩვენი ეროვნული ცეკვის საუკეთესო ნიმუშები.

ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო და კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზებში გამართულ ხალხური და კლასიკური ცეკვების კონკურსში ქართველმა მოცეკვავეებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ქართული ცეკვის შნო და ლაზათი. მათ ყოველ გამოსვლას მაყურებლით სავსე დარბაზი ოვაციებით ხვდებოდა.

ცეკვის ანსამბლმა მაყურებელს უჩვენა „საფესტივალო საზეიმო“. ეს ცეკვა ფიზკულტურული ელემენტებისაგან შედგება. მასში ნაჩვენებია ახალგაზრდობის ზეიმი, სიხარული, ლხინი. ცეკვაში მონაწილე სოლისტებმა ბელა კაპანაძემ, გურანდა გაბუნიამ, იასონ ზედაშიძემ, გიზო ბერაძემ ქორეოგრაფიული ოსტატობის მაღალი მონაცემები გამოავლინეს. „სალხინო ფერხული“ შესრულებულ იქნა ლატავრა ფოჩიანის, ედუარდ მეგრელიძის, ოთარ შენგელიას, თამაზ მამალაძის, რევაზ ლაშხის მონაწილეობით.

არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად ცეკვა „ფარიკაობას“, რომელშიც მთელი ანსამბლი მონაწილეობდა.

მეოთხე ცეკვა, რომელიც ქართველმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ფესტივალზე უჩვენეს, ეს იყო „სალხინო საზეიმო“. ამ ცეკვაში გაერთიანებულია საქართველოს ყველა კუთხის ქორეოგრაფიული ელემენტები.

ანსამბლმა დამსახურებულად მიიღო საპატიო ჯილდო — ვერცხლის მედალი და VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატობა. მოსკოვის ღია ესტრადებსა და მოედნებზე მისი გამოჩენა მრავალ მაყურებელს იზიდავდა.

• • •

მოსკოველი მაყურებლისათვის პირველი შემთხვევა არ იყო სცენაზე ეხლა და მოეხმინა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის კონცერტები. სტუდენტთა ამ საესტრადო ორკესტრმა არსებობის ათეიოდ წლის მანძილზე საკმაო პოპულარობა მოიპოვა.

წელს საესტრადო ორკესტრმა დიდ წარმატებას მიაღწია: საქართველოს ახალგაზრდობის პირველი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატმა საესტრადო ორკესტრების საკავშირო საფესტივალო კონკურსზე ამ ჟანრში მონაწილე კოლექტივებს შორის ერთადერთმა მიიღო ოქროს მედალი.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა, როშელსაც ასპირანტი იოსებ ტულუში ხელმძღვანელობს, უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიეღო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალში. კონკურსში ჟიურისა და მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე ქართველი სტუდენტები წარსდგნენ ისეთ ძლიერ კოლექტივებთან ერთად, როგორიც არიან იტალიის, ინგლისის, ისლანდიის, შვეიცარიის, რუმინეთის და სხვა ქვეყნების საესტრადო ორკესტრები. ქართველი სტუდენტები წარმატებით გამოდიოდნენ და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

მოსკოვის კინოს ცენტრალური დარბაზი კონკურსზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრის გამოსვლის დროს მაყურებელს ვერ იტევდა. წინა ოთხი დღის განმავლობაში საესტრადო ორკესტრების კონკურსის ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მსოფლიო მუსიკალური კულტურის რვა გამოჩენილი წარმომადგენელი, კონკურსის დასკვნითს სალამში მონაწილეობის უფლება ქართველ სტუდენტთა საესტრადო კოლექტივსაც მიაკუთვნა.

კონკურსის დასკვნითს დღეს ქართველმა სტუდენტებმა თავი ისახელეს. მათ პროგრამა დაიწყეს საესტრადო მარშით „ჩვენ მშვიდობა გვინდა“. მაყურებლის მოწონება დაიმსახურა ოსტატობით შესრულებულმა მუსიკალურმა სურათმა „ჭექა-ქუხილი მთებში“. მრავალრიცხოვანი მაყურებელი მოხიბლული რჩებოდა ქართული საესტრადო სიმღერებით, რომლებსაც ასრულებდა ვოკალური კვარტეტი გ. ბზვანელის, შ. ხარაბაძის, ტ. ცინცაძისა და გ. ბაკურაძის შემადგენლობით. სტუდენტმა ნანი ბრეგვაძემ შეასრულა ლირიკული სიმღერა „ჩავაქრე სანთელი“. დიდი წარმატებით გამოდიოდნენ ძმები ბერაძეები, რომლებმაც შეასრულეს ცეკვა „მთიულური“. მომხიბლავად მიჰყავდათ პროგრამა ი. მამაცაშვილს, გ. ფანცულაიას, გ. ჭირაქაძესა და ო. მჭედლიშვილს.

**ბ. ბაახტურიძე.**

სურათებზე: მარცხნივ — საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის მოცეკვავეთა ანსამბლის გამოსვლა მოსკოვის გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში; მარჯვნივ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრისა და ჯაზ-ორკესტრ „რეროს“ გამოსვლა იმავე თეატრში.

ფოტო ა. ბატანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ფესტივალის ლაურეატები გვიამბოვენ

## მეგობრობა — ძვირფასი მონაპოვარი

ყველაზე სასიხარულო და მნიშვნელოვანი ჩვენთვის, როგორც ვოკალისტებისათვის, ის იყო, რომ კონკურსმა კლასიკურ სიმღერაში გამოავლინა საბჭოთა ვოკალური სკოლის დიდი უპირატესობა. რა თქმა უნდა, კონკურსში მონაწილეობა მიიღო მრავალმა შესანიშნავმა მომღერალმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მაგალითად, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და სხვ., მაგრამ საერთო დონის ძხრივ კლასიკურ სიმღერაში საბჭოთა მომღერლებმა დიდი უპირატესობა ცხადყვეს.

საუცხოო შთაბეჭდილება დატოვეს უკრაინელმა მომღერლებმა ა. კიკოტმა (ბანი), ბ. რუდენკომ (ტენორი), გ. პოლივანოვამ (სოპრანო), მოსკოველებმა ლ. მოროზოვმა (ბარიტონი), ტ. მილიაშკინამ (სოპრანო) და სხვებმა.

მეტად სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ ჩვენ, ქართველმა მომღერლებმა, შევიძინეთ ამდენი გულითადი მეგობარი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ეს ფესტივალის ყველაზე დიდი, კეთილშობილური და ძვირფასი მონაპოვარია.

მახსენდება ერთი შემთხვევა: კონკურსზე სხვა ნაწარმოებებთან ერთად მე შევასრულე კ. ფოცხვერაშვილის „ინდი-მინდი“. კონცერტის ბოლოს ჩემთან მოიჭრა კონკურსის ჟიურის წევრი ცნობილი ბრაზილიელი მომღერალი ქალი ალის რიბეირუ და თავისი აღტაცება გამოთქვა ქართული სიმღერის გამო. მან მთხოვა „ინდი-მინდის“ ნოტები და თქვა, ოომ უთუოდ შეიტანს მას თავის რეპერტუარში.

მსოფლიო ფესტივალით შთაგონებულნი ჩვენ კიდევ უფრო სრულყოფთ ჩვენს ხელოვნებას და ფართოდ გამოვიყენებთ იმ მდიდარ გამოცდილებას, რაც მოსკოვში შევიძინეთ.

**ზურაბ ანჯაფარიძე,**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, VI მსოფლიო ფესტ ივალის ლაურეატი.**

## ფესტივალმა ჰორიზონტი გაგვიფართოვა

ჩვენ დიდად გაგვახარა ცნობამ, რომ ჟიურის თავმჯდომარე კლასიკურ სიმღერაში იქნებოდა მსოფლიოში სახელგანთქმული იტალიელი მომღერალი ტიტო სკიპა.

მეტად სერიოზულად ვემზადებოდით კონკურსისათვის. ფესტივალის ხელმძღვანელობამ შესანიშნავი პირობები შეგვიქმნა მუშაობისათვის, — ვცხოვრობდით ქალაქგარეთ, ჩვენს განკარგულებაში იყვნენ საუკეთესო აკომპანიატორები, ინსტრუმენტები და სხვ.

კონკურსის წინ ძალიან ვღელავდით. ასეთი დიდი, მრავალეროვანი აუდიტორიის, ასეთ გამოჩენილ ოსტატთა წინაშე პირველად გამოვდიოდით. მაგრამ ჩვენი შიში არ გამართლდა — დიდმა სკიპამაც კი ტაში დაუკრა ქართველი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სიმღერას. ჟიურის დანარჩენი წევრებიც დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

მსოფლიო ფესტივალმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მუდამ გვემახსოვრება ამოელვებელი შეხვედრები უცხოელ მეგობრებთან, რომლებიც ამდენ სითბოს და გულისხმიერებას იჩენდნენ ჩვენდამი, ჩვენ შევიძინეთ მრავალი გულითადი მეგობარი, განსაკუთრებით ახალგაზრდა მომღერალთა შორის.

ფესტივალმა განუზომლად გაგვიფართოვა ჰორიზონტი. იგი მეტად დიდი სკოლა იყო ჩვენთვის, როგორც ვოკალისტებისათვის.

**ნოდარ ანდღულაძე,**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი.**

## დაუვიწყარი დღეები

**საუბარი საქართველოს ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელთან**

**ამხ. თ. ჯანელიძესთან**

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ამხ. თ. ჯანელიძემ განაცხადა:

— გრანდიოზულ დღესასწაულად გადაიქცა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი მოსკოვში. შეუძლებელია ადამიანს დავიწყდეს მოსკოვში გატარებული დღეები, მსოფლიოს სიჭაბუკის ზეიმის დღეები, როცა 131 ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ ერთმანეთს, გაუზიარეს თავიანთი აზრები და გრძნობები, გამომაქოლავნეს კეთილშობილური მისწრაფება მშვიდობისა და მეგობრობისაკენ.

მსოფლიო ფესტივალ ამდე საქართველოში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მოეწყო რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც გადაიქცა მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისადმი ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად. რესპუბლიკის საუკეთესო ჭაბუკებსა და ქალიშვილებს წილად ხვდათ დიდი პატივი — გამხდარიყვნენ VI მსოფლიო ფესტივალზე საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის წევრები. მათ გარდა, მოსკოვში იმყოფებოდა ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებმაც ეს უფლება მოიპოვეს მხატვრულ თვითმოქმედებაში წარმატებებით, თავიანთი შემოქმედებით ან შესრულებითი ოსტატობით. ჩვენი რესპუბლიკის ბევრი წარმომადგენელი ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალის კონკურსებში ლაურეატი გახდა და ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

საქართველოს ახალგაზრდობამ VI მსოფლიო ფესტივალზე დიდად ისახელა თავი. ამას მოწმობს საერთაშორისო კონკურსების შედეგები. ჩვენი რესპუბლიკიდან მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები გახდნენ და ოქროს მედლებით დაჯილდოებულ იქნენ ვოკალური ჯგუფი „შვიდკაცა“ და თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები „ჩვენი ეზო“ (რეჟისორი რევაზ ჩხეიძე), ვერცხლის მედლებით — საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის ცეკვის ანსამბლი გ. დარახველიძის ხელმძღვანელობით, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ზ. ანჯაფარიძე და ნ. ანდღულაძე, კომპოზიტორები ო. თაქთაქიშვილი და ს. ცინცაძე, ბრინჯაოს მედლით — საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი ი. ტულუშის ხელმძღვანელობით.

საქართველოს წარგზავნილებმა ფესტივალზე აჩვენეს თავიანთი ხელოვნება, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად გამოთქვეს თავიანთი მზადყოფნა შეუპოვრად იბრძოლონ მშვიდობისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს გადაეცეს საჩუქრები, რომლებიც ნორჩების ხელით არის გაკეთებული. დაე სადღაც, ტაილანდის ტყეებში თუ შორეული ავსტრალიის მთებში, აქლერდეს ჩვენს მიერ ნაჩუქარი ქართული ჩონგური...

ბალეტის ოსტატს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ოლოლა ლეპეშინსკაიას ეს სიტყვები: „პირველი ტაქტიდანვე მაყურებლები მოიხიბლნენ ქართული ცეკვებით. საოცრად ნარნარად, ხატიფად მოძრაობენ ქალიშვილები, ხოლო რაც შეეხება ჭაბუკებს, მართალი გითხრათ, არ ვიცი, ვის შეუძლია კიდევ ისე ტემპერამენტიანად ცეკვა, როგორც ქართველებს“.

დედაქალაქის თითქმის ყველა მოედანზე მოწყობილი იყო ესტრადები, სადაც იმართებოდა ეროვნული კონცერტები. მოსკოვის თეატრების შენობებში თავიანთ თეატრალურ ხელოვნებას უჩვენებდნენ საზღვარგარეთელი და საბჭოთა ხელოვანნი. დიდი შთაბეჭდილება დატოვა 10 აგვისტოს გამართულმა კარნავალმა, სადაც განსაკუთრებით იყო მორთული ჩვენი კუთხე.

მოსკოვის 14 უდიდეს კინოთეატრში მოეწყო საერთაშორისო კინოფესტივალი, სადაც წარმოდგენილი იყო 40 ქვეყნის კინოფილმები. ყველა ეს კინოფილმი ადამიანს რომ ენახა, საჭირო იყო 5 დღეღამის განმავლობაში ერთი წუთის გაუცდენლად ეკრანისათვის ეცქირა. როგორც აღვნიშნეთ, „ჩვენმა ეზომ“ დიდი ჯილდო დაიმსახურა. მას მაღალი შეფასება მისცეს ინდოელმა კინორეჟისორმა რაჯ კაპურმა, ბელგიელმა ოპერატორმა ჟუმარმა, საბჭოთა რეჟისორმა ი. პირიევმა და სხვ.

ახალგაზრდობის მეხსიერებაში წარუშლელი იქნება ბალი, რომელიც კრემლში მოეწყო. აქ კონცერტები გამართეს საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის მოცეკვავეთა ანსამბლმა და საესტრადო ორკესტრმა „რეროომ“. დიდი წარმატებით ჩაიარა საზეიმო კონცერტმა, რომელიც საქართველოს დელეგაციამ გამართა საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, მომღერლებთან ერთად მაყურებლებიც მღეროდნენ დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს. ფესტივალის ერთ-ერთ დღეს ქართველი ახალგაზრდები ათასობით უცხოელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე ასწავლიდნენ ქართულ სიმღერებს „სულიკოს“, „ციცინათელას“, ცეკვა „ფერხულს“ და სხვ. აქვე მოეწყო ქართული ქორწილი.

„მშვიდობა, მეგობრობა!“ — მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე ორი კვირის განმავლობაში გაისმოდა ეს სიტყვები მოსკოვში. ლენინგრადის გზატკეცილთან ფესტივალის დღეებში საფუძველი ჩაეყარა მეგობრობის პარკს. მის გასაშენებლად მოვიდნენ ყველა ქვეყნის წარმომადგენლები. მარტო ქართველმა ახალგაზრდებმა 50-ზე მეტი ხე დარგეს...

მეგობრობის პარკში მალე აიყრიან ტანს ხეები, რომლებიც დარგეს მსოფლიოს ახალგაზრდებმა, იმ ახალგაზრდებმა, რომლებმაც მოსკოვში მანეჟის მოედანზე მოაწყეს მძლავრი მანიფესტაცია ომის საწინააღმდეგოდ და ატომურ ომზე მეოცნებე იმპერიალისტებს შეუთვალეს მძლავრი „არა“! დაე მარად იშრიალონ ხეებმა მეგობრობის პარკში. დაე მარად ჰყვაოდეს მშვიდობა და მეგობრობა.

# გაიხსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მე-4 კონგრესი

**კიევი,** 16 აგვისტო. (საკადესი). დღეს დილით აქ გაიხსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის IV კონგრესი. კონგრესის სხდომები იმართება უკრაინის სსრ სახალხო მეურნეობის მოწინავე გამოცდილების გამოფენის ტერიტორიაზე.

კიევში ბევრი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ დელეგატები, მეთვალყურეები და სტუმრები, სულ 500-ზე მეტი კაცი. კონგრესში პირველად მონაწილეობს 59 ორგანიზაცია, რომლებიც დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაში შევიდნენ III კონგრესის შემდეგ.

IV კონგრესი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ბრუნო ბერნინიმ.

სტუმრებს მიესალმნენ: უკრაინის ახალგაზრდობის სახელით — უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დროზდენკო და კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ი. დავიდოვი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დავალებითა და სახელით კონგრესის მონაწილეებს დ. მათი სახით მსოფლიოს მრავალ მილიონ ქალიშვილსა და ჰაბუკს მიესალმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი ს. გ. ბრატჩიკოვი. მან კონგრესს წარმატებები უსურვა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ მუშაობაში. ს. გ. ბრატჩიკოვმა წაიკითხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წერილი დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის IV კონგრესისადმი.

შემდეგ მოხსენება „ახალგაზრდობა, თანამედროვე მსოფლიო და დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ამოცანები“ წაიკითხა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა ბრუნო ბერნინიმ.

მესამე კონგრესის შემდეგ განვლილი პერიოდი, ამბობს ბრუნო ბერნინი, მდიდარი იყო ისეთი მოვლენებით, რომლებმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისა და ხალხთა ცხოვრებაში. ამ ოთხი წლის განმავლობაში დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებდა ახალგაზრდობას გაერთიანებულიყო ატომური საფრთხის წინააღმდეგ, განემტკიცებინა მეგობრული ურთიერთობა და დაეცვა მშვიდობა.

მომხსენებელმა მოიყვანა მრავალი მაგალითი და ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, თუ რა დიდ მუშაობას ეწევა ფედერაცია მუშა და სოფლის ახალგაზრდობაში და აღნიშნა, რომ ახალგაზრდათა ყველა ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან შეთანხმებისა და თანამშრომლობის ძიება ყველაზე მეტად გამოიხატა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალით, რომელიც ამას წინათ დამთავრდა მოსკოვში.

ფესტივალს თავისი სიმდიდრისა და ბრწყინვალე შედეგების მიხედვით, ძმობისა და მეგობრობის ატმოსფეროს მეოხებით ბადალი არ მოეპოვება ჩვენი დროის ახალგაზრდობის ღონისძიებათა შორის. იგი იყო ჩვენი ახალგაზრდა თაობის ახალი წვლილი მსოფლიოს გათშვის დასაძლევად, საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

გადავიდა რა ფედერაციის წინაშე მდგომი ამოცანების გაშუქებაზე, ბრუნო ბერნინიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ახალგაზრდათა ყველა ორგანიზაციის თანამშრომლობის უფრო ღრმა განვითარება. ეს, — თქვა მან, — ხელს შეუწყობს იმ პრობლემების სწრაფ გადაჭრას, რომლებიც აღელვებს ახალგაზრდობას, ხელს შეუწყობს იმას, რომ უფრო ძვირფასი გახდეს ახალგაზრდობის წვლილი კაცობრიობის მშვიდობიანი განვითარების საქმეში.

ბრუნო ბერნინი აღნიშნავს, რომ საჭიროა გადაიჭრას ევროპის პრობლემები, რათა დაძლეულ იქნას არსებული გათიშვის უარყოფითი შედეგები და აღმოიფხვრას ატომური შეიარაღების საფრთხე. იგი აგრეთვე შეეხო საკითხებს, რომლებიც აღელვებენ აფრიკისა და აზიის ქვეყნების ახალგაზრდობას, კერძოდ, შემდეგ პრობლემებს: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი ცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, კორეის გაერთიანება, ვიეტნამის გაერთიანება, ტაივანის, კოას და დასავლეთ ირიანის შეერთება თავიანთ სახელმწიფოებთან, შუა აღმოსავლეთთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა.

ბრუნო ბერნინიმ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობის საქმისათვის კოლონიალიზმი. მან თქვა, რომ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია იმ აზრისაა, რომ ხალხებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება და მათ დახმარება უნდა გაეწიოთ თანასწორობის საფუძველზე ქვეყნების პროგრესისა და თანამედროვე განვითარებისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, — განაცხადა ბერნინიმ, — რომ შეიძლება კოლონიალიზმის წინააღმდეგ დაიდოს შეთანხმება ახალგაზრდობის ყველა ორგანიზაციას შორის.

მოხსენებაში შემდეგ ნათქვამია, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის სიცოცხლეს ემუქრება გამალებული შეიარაღება და მსოფლიოს გათიშვა. მაშასადამე, ანტაგონისტური ბლოკების ლიკვიდაცია, ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლების აღიარება, ყველა სახელმწიფოს ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობა, განიარაღება და მშვიდობიანი თანაარსებობა ყველასთვის საერთო ამოცანებია. ეს ამოცანები მთელი კაცობრიობის მშვიდობიანი პროგრესის პირობაა.

ბერნინიმ შემდეგ თქვა, რომ ამ უკანასკნელ წლებში ყველგან ჩანს ახალგაზრდათა სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის უფრო ფართო ფორმები. ადგილობრივი და ეროვნული ორგანიზაციების ამოცანაა ყველაფერი გაკეთონ, რაც კი საჭიროა, რათა ახალგაზრდობის ინტერესებისათვის დაძლეულ იქნას ყველა დაბრკოლება, გადაიდგას ახალი ნაბიჯები მათს ერთობლივ მუშაობაში.

იმის საუკეთესო გზა, რომ თანამშრომლობამ საჭირო მსოფლიო ხასიათი მიიღოს, შეიძლება იყოს ახალგაზრდათა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას შორის შეთანხმების გზა. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, განაცხადა ბრუნო ბერნინიმ, კვლავაც ივლის ყველა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობის გზით.

შეეხო რა ფედერაციის ურთიერთობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, ბრუნო ბერნინიმ განაცხადა, რომ ფედერაცია თავის საქმიანობას აფასებს როგორც წვლილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების განხორციელებაში და მის სპეციალურ დაწესებულებათა საქმიანობაში.

შემდეგ ბრუნო ბერნინი შეეხო ახალი წესდების პროექტს.

მერე მან განაცხადა, რომ მესამე კონგრესის შემდეგ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის რიგებს შეემატა მსოფლიოს ყველა კუთხის ორმოცდაცხრამეტი ორგანიზაცია. ამჟამად ორასზე მეტი სხვადასხვა მიმართულების ორგანიზაცია, რომელთა რიგებში გაერთიანებულია ოთხმოცდაჩვიდმეტი ქვეყნის ოთხმოცდახუთი მილიონი ქალიშვილი და ჰაბუკი, ფედერაციის წევრია.

დასასრულ ბრუნო ბერნინიმ თქვა: მოვუწოდებთ ყველას, დელეგატებსაც და მეთვალყურეებსაც — იმუშაონ ერთობლივად, რათა კონგრესმა შეძლოს დაამთავროს თავისი მუშაობა, მიიღოს უაღრესად ნაყოფიერი გადაწყვეტილებანი ახალგაზრდობის, მეგობრობის და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის.

ბრუნო ბერნინის მოხსენების გამო გაიმართა დისკუსია.

# ევროპაში შეიქმნა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის შეთანხმება საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ, რომლებიც დროებით იმყოფებიან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე

შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებისა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებითი მყოფი საბჭოთა ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია ბუდაპეშტში 1957 წლის 27 მაისს, იგი ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

1957 წლის 16 აგვისტოს მოსკოვში მოხდა შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა. ამრიგად, აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 1957 წლის 16 აგვისტოდან.

# მასობრივი მიგინგი დელში ინდოეთის ხალხთა დღესასწაულის აღსანიშნავად

**დელი,** 16 აგვისტო. (საკადესი). დღეს დელში გაიმართა მასობრივი მიტინგი ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-10 წლისთავისა და ინგლისელ კოლონიატორთა წინააღმდეგ ინდოელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის მესამე წლისთავის აღსანიშნავად.

მიტინგზე გამოვიდნენ ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი, პრემიერ-მინისტრი ნერუ და ვიცე-პრეზიდენტი რადჰაკრიშნანი.

# ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა კანონპროექტს „უცხო სახელმწიფოებისადმი დახმარების შესახებ“

**ნიუ-იორკი,** 15 აგვისტო. (საკადესი). გუშინ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა კანონპროექტს ეგრეთწოდებული „უცხო სახელმწიფოებისადმი დახმარების შესახებ.“ კანონპროექტი ითვალისწინებს 3.367.083 ათასი დოლარის დახარჯვას 1957/58 საფინანსო წელს, რომელიც 1 ივლისს დაიწყო. ეს ნიშნავს, რომ ასიგნობები მცირდება თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარით 3.864.400 ათას დოლართან შედარებით, რაც მოთხოვნილი ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

კანონპროექტის საბოლოო ფორმის შესახებ კონგრესი შეთანხმდა მხოლოდ ვრცელი დისკუსიისა და ორივე პალატის მოლაპარაკების შემდეგ. წარმომადგენელთა პალატამ თავდაპირველად მოიწონა კანონპროექტი, რომლითაც ნებადართული იყო 3,1 მილიარდი დოლარის ასიგნება, მაშინ როცა სენატის მიერ მოწონებული კანონპროექტი ითვალისწინებდა 3,6 მილიარდ დოლარს. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ და თეთრი სახლის ზეგავლენით ორივე პალატის წარმომადგენელთა კომისია შეთანხმდა კომპრომისის შესახებ, რომელიც გამოიხატა საბოლოო კანონპროექტით. სენატმა მოიწონა იგი 13 აგვისტოს, ხოლო წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა 14 აგვისტოს 226 ხმით 163 ხმის წინააღმდეგ.

კანონპროექტი საბოლოო ფორმით ითვალისწინებს 1,6 მილიარდი დოლარის ასიგნებას ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებისადმი პირდაპირი სამხედრო დახმარებისათვის, მაშინ როცა ეიზენჰაუერი ამ მიზნისათვის ითხოვდა 1,9 მილიარდ დოლარს. ეგრეთწოდებული „თავდაცვის მხარდაჭერის“ პროგრამა გათვალისწინებულია 750 მილიონი დოლარის რაოდენობით, თუმცა ეიზენჰაუერის რეკომენდაციით გაღებული უნდა ყოფილიყო 900 მილიონი დოლარი. „დახმარების“ სხვა პროგრამები შეკვეცილია უფრო ნაკლები თანხებით.

# პორტუგალიის პროვოკაცია ინდოეთის საზღვარზე

**დელი,** 16 აგვისტო. (საკადესი). როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო იუწყება, 14 აგვისტოს ღამით პორტუგალიელმა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს ინდოეთის პატრულს ინდოეთისა და გოას საზღვარზე. როგორც სააგენტო იუწყება, ეს არის პორტუგალიის ჯარების მიერ ინდოეთის საზღვრის მეხუთე დარღვევა წლის დამდეგიდან.

# მოკლე ცნობები

ძირითადად დამთავრდა მდინარე იანძიზე პირველი ხიდის მშენებლობა. 15 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში ხანიანის საადგურიდან უჩანის საადგურამდე ხიდზე გაიარა პირველმა მატარებელმა.

• • •

სტოკჰოლმში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის 30-ე სესიამ, რომლის მუშაობაში სხვა ქვეყნების მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა. საბჭოთა სტატისტიკოსების მოხსენებებმა სესიის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

• • •

ზეირუთის რადიოს ცნობით, ლიბანის პარლამენტის ამასწინანდელ არჩევნებთან დაკავშირებთან მთავრობა, რომელსაც სამი სოლაი მეთაურობდა, გადადგა. ლიბანის პრეზიდენტმა ქამილ შამუნმა დაიწყო კონსულტაციები პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან ახალი მთავრობის შედგენის მიზნით.

• • •

16 აგვისტოს საფრანგეთის ხელისუფლებმა გაზეთ „ლემანიტეს“ გამოშვების კონფისკაცია მოახდინეს. კონფისკაციის საბაბი გახდა გაზეთში გამოქვეყნებული რენე ანდრიეს მოწინავე სტატია, რომელშიც ლაპარაკია ალეირში „დაშიმინების“ პოლიტიკის გაკიცხვაზე.

• • •

ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრესი“, ეხება რა სარედაქციო სტატიაში დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ პირველი წყალქვეშა ნავის შეძენას, წერს, რომ „ინგლისელი ხალხი ამ ცნობას შეშფოთებით წაიკითხავს. ინგლისელებში ზიზღს იწვევს გერმანიის როგორც სამხედრო სახელმწიფოს აღორძინების პოლიტიკა“.

16 აგვისტო. (საკადესი).

# რეპორტაჟი — სასახელონი დაიზარდენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში პაპანაქება სიცხე იყო, ასფალტს ბუღი ასდიოდა. ჩვენ კოჯორს მივაშურეთ.

აღმართს რომ შევუდექით, მაცოცხლებელი ნიავი მოგვეალერსა, გზადაგზა მორცხვად თავდახრილი გვირილები მოგვდევდნენ, მზესუმზირები თავს გვიკრავდნენ მოკრძალებით.

ოჭროყანა... შინდისი... ტაბახმელა... კოჯორი.

მანქანა სკოლა-ინტერნატთან შეჩერდა. ეზოში ნაირფერ საკარნავალო კოსტიუმებიანი ბავშვები ირეოდნენ. მათი ყივილ-ხივილი იქაურობას აცოცხლებდა. უმაწვილებმა ბუნება გადაგვავიწყეს. ისინი თვითონ ჰგავდნენ გვირილებს და, მართლაც, რომელი ყვავილი შეედრება სიცოცხლით სავსე პატარებს.

კოჯორი — ეს მაღალმთიანი აგარაკი — ზაფხულობით საუკეთესო დასასვენებელი ადგილია. მაგრამ იგი მარტო დასასვენებელი ადგილი როდია ბავშვებისათვის. ბევრი მათგანი ზამთარ-ზაფხულს აქ ატარებს, აქ იზრდება, სწავლობს და ვაუკაცდება.

ესენი არიან უდედმამო ბავშვები, რომელთათვისაც მშობლიურად ზრუნავს კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა.

რადგან თავიდანვე ბავშვებმა მიიქციეს ჩვენი ყურადღება, მათი ცხოვრებით დავინტერესდით.

კოჯორის ყველა ბილიკი ბავშვებთან მიგიყვანთ. ჩვენ გეზი მეხუთე საბავშვო სახლისაკენ ავიღეთ.

ყმაწვილების სიცილ-კისკისი ეზოს აყრუებდა. პატარა სტადიონზე ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. ცოტა მოშორებით გოგონებს ფრენბურთი გაეჩაღებინათ. აქეთ შავტუხა ბიჭუნა ქერათმიან გოგონას დასდევდა დასაჭერად. ზოგი ჩრდილში აღმზრდელის ირგვლივ შეკრებილიყო და საუბრობდა.

დირექტორი ვ. სიხარულიძე მხიარული სახით შემოგვხვდა, საბავშვო სახლის მუშაობა გაგვაცნო.

— ვის არ ნახავთ ჩვენთან, — გვეუბნება იგი გზადაგზა, — რუს, უკრაინელ, ბელორუს, აზერბაიჯანელ თუ სომეხ ბავშვს. ისინი ერთად იზრდებიან, და-ძმებივით უყვართ ერთმანეთი. ბავშვები ზაფხულს აქ ატარებენ. ხშირად ეწყობა ექსკურსიები. ამ ხეზონში მათ ინახულეს თბილისის ზღვა, ლისის ტბა, აგრეთვე ბეთანია, უძო და საქართველოს სხვა ისტორიული ადგილები.

ჩვენი საბავშვო სახლის მიერ წელს გამოშვებული 45 ჯანლონით სავსე ახალგაზრდა, ზოგი ტყიბულისა და თბილისის სახელოსნო სასწავლებლებში გავგზავნეთ, ზოგი ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში წავიდა სამუშაოდ, ხოლო ზოგმა უმაღლეს სასწავლებელს მიაშურა. მეხუთე საბავშვო სახლის აღსაზრდელების ლამაზი ცხოვრებით კმაყოფილნი მე-6 სახლისაკენ გავემართეთ.

— ჩვენთან მშენებლობა მიმდინარეობს. ვერ ვთავსდებით ძველ შენობაში, ვაფართოებთ,— გვითხრა სასწავლო ნაწილის გამგემ ა. ექიზაშვილმა და წინ გაგვიძღვა. — ზაფხულში, — განაგრძო მან, — გამაჯანსაღებელ მუშაობაზე ვართ გადასული. ჩვენი ბავშვები უქმად როდი ატარებენ არდადეგებს, შრომითს ჩვენებს იმუშავებენ. აი, ნახეთ როგორ ეხმარებიან ისინი მშენებლებს,—და მიწაყრილთან მოფუსფუსე ბიჭუნებისაკენ მიგვახედა. ბავშვებს მივუახლოვდით, ცისფერთვალება ბიჭუნას სადაურობა ვკითხეთ.

— არ მახსოვს. როგორც მეუბნებიან, ძალიან პატარა ვყოფილვარ, როცა აქ მომიყვანეს. ახლა კი მეხუთე კლასში ვარ, კარგადაც ვსწავლობ. მშობლების მაგიერობას აღმზრდელები მიწევენ. კალატოზებს ვეხმარები, გაივზრდები და მშენებელი ვიქნები.

ვინახულეთ მე-4 საბავშვო სახლიც. ბოლოს 1 საბავშვო სახლში შევუხვიეთ.

შორიდანვე მიგიზიდავთ მარადმწვანე ნარგავებით სავსე ეზო. შესავალთან აივანზე ვ. ი. ლენინის — პატარა ვალოდიას ბიუსტი დგას, რომლის გარშემო ბავშვთა სახლის წარჩინებულ მოსწავლეთა სურათების რკალია. ეზოში პეპლებივით დაფარფატებენ თეთრხალათიანი ბავშვები. ზოგი ყვავილებს რწყავს, ზოგი სასრიალოზე ცურდება, ზოგი კი მობიბინე მდელოზე ზის.

ცოტა ხანს დავრჩით ბავშვებთან, შემდეგ კი დირექტორს მ. მგალობლიშვილს გავესაუბრეთ.

— ჩვენი საბავშვო სახლი შერეული ტიპისაა. ამიტომ აქ ძალიან პატარებსაც შეხვდებით. სწორედ ამიტომ არის რთული ჩვენი მუშაობა. თვითეულ ბავშვს თავისებური მიდგომა და აღზრდა სჭირდება. თავიდანვე ასეთები როდი იყვნენ ჩვენი ბავშვები, თუნდაც სლავა მაცევსკი, ონისე ქელეხსაშვილი და ნოდარ ღვდლიაშვილი. სრულიად თავნება მოვიდნენ ჩვენთან. აღმზრდელებს ბევრი შრომა დასჭირდათ მათი აღზრდისათვის. ახლა კი ისინი მოწინავეებად ითვლებიან სწავლაში და ხასახელონი არიან საბავშვო სახლის თვითმოქმედ კოლექტივში.

ზოგიერთი ჩვენი აღზრდილი ჩვენთანვე მუშაობს. მერი ჯაფარიძე მესტიიდან მოიყვანეს 4 წლისა. მამა ფრონტზე დაეღუპა. ის და მისი დები კი ჩვენმა მშობლიურმა პარტიამ აღზარდა. მახარაძის საბავშვო სახლში აღზრდილი მერის შვილმა და წინ გაგვიძღვა. — ზაფხულში, — განაგრძო მან, — გამაჯანსაღებელ მუშაობაზე ვართ გადასული. ჩვენი ბავშვები უქმად როდი ატარებენ არდადეგებს, შრომითს ჩვენებს იმუშავებენ. აი, ნახეთ როგორ ეხმარებიან ისინი მშენებლებს,—და მიწაყრილთან მოფუსფუსე ბიჭუნებისაკენ მიგვახედა. ბავშვებს მივუახლოვდით, ცისფერთვალება ბიჭუნას სადაურობა ვკითხეთ.

— არ მახსოვს. როგორც მეუბნებიან, ძალიან პატარა ვყოფილვარ, როცა აქ მომიყვანეს. ახლა კი მეხუთე კლასში ვარ, კარგადაც ვსწავლობ. მშობლების მაგიერობას აღმზრდელები მიწევენ. კალატოზებს ვეხმარები, გაივზრდები და მშენებელი ვიქნები.

ვინახულეთ მე-4 საბავშვო სახლიც. ბოლოს 1 საბავშვო სახლში შევუხვიეთ.

შორიდანვე მიგიზიდავთ მარადმწვანე ნარგავებით სავსე ეზო. შესავალთან აივანზე ვ. ი. ლენინის — პატარა ვალოდიას ბიუსტი დგას, რომლის გარშემო ბავშვთა სახლის წარჩინებულ მოსწავლეთა სურათების რკალია. ეზოში პეპლებივით დაფარფატებენ თეთრხალათიანი ბავშვები. ზოგი ყვავილებს რწყავს, ზოგი სასრიალოზე ცურდება, ზოგი კი მობიბინე მდელოზე ზის.

ცოტა ხანს დავრჩით ბავშვებთან, შემდეგ კი დირექტორს მ. მგალობლიშვილს გავესაუბრეთ.

— ჩვენი საბავშვო სახლი შერეული ტიპისაა. ამიტომ აქ ძალიან პატარებსაც შეხვდებით. სწორედ ამიტომ არის რთული ჩვენი მუშაობა. თვითეულ ბავშვს თავისებური მიდგომა და აღზრდა სჭირდება. თავიდანვე ასეთები როდი იყვნენ ჩვენი ბავშვები, თუნდაც სლავა მაცევსკი, ონისე ქელეხსაშვილი და ნოდარ ღვდლიაშვილი. სრულიად თავნება მოვიდნენ ჩვენთან. აღმზრდელებს ბევრი შრომა დასჭირდათ მათი აღზრდისათვის. ახლა კი ისინი მოწინავეებად ითვლებიან სწავლაში და ხასახელონი არიან საბავშვო სახლის თვითმოქმედ კოლექტივში.